ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა / Integrated BA and MA Educational Program for Preparation of Primary School Teachers

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): განათლების მაგისტრი/Master of Education, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი/Subject Teacher/Subject Group Teacher of General Education Primary School

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 300 ECTS

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

1. **პროგრამის მიზნები:** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია დაწყებითი განათლების საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება, რომელიც ფლობს I - IV კლასების ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივ კომპეტენციებს, დამატებით V - VI კლასის ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველებიდან ერთ-ერთს, ორს ან ყველა საგნის კომპეტენციას;

პროგრამა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა:

- მიიღოს ცოდნა დაწყებითი საფეხურის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი კანონზომიერებების შესახებ, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- მიიღოს ცოდნა დაწყებითი საფეხურის ეროვნულო სასწავლო გეგმაში გაწერილ საგნობრივ დისციპლინებში, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით;

- შეძლოს პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური ცოდნის საგნობრივ ცოდნასთან ეფექტიანი ინტეგრირების საშუალებით წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება.
- პროგრამა უზრუნველყოფს მომავალი მასწავლებლის მსოფლმხედველობის ფორმირებას, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებას, ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას;

2. **პროგრამაზე მიღების წინაპირობა** - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთიანი ეროვნული გამოცდები.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე;

პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს თსუ სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. სწავლის შედეგები (კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)

1.	**ცოდნა და გაცნობიერება**
-	მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინების მოდულში გაწერილი საკითხები;
-	მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ მოდულში გაწერილი საკითხები;
-	მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული მათემატიკის საგნობრივ მოდულში გაწერილი საკითხები;
-	მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ბუნებისმეტყველების საგნობრივ მოდულში გაწერილი საკითხები;
-	მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოდულში გაწერილი საკითხები;

2. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

- განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისად, კონკრეტული სასწავლო/სააღმზრდელო პროცესის ძირითადი მიზნებისა და ორიენტირების განსაზღვრა და გადაჭრის გზების დასახვა;
- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში პედაგოგიკის ძირითადი ცნებების მიზნობრივად გამოყენება;
- მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული გარემოს ფორმირება, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება;
- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში სსსმ მოსწავლის ინკლუზიის სწორად განხორციელება;
- საგნობრივ მოდულებში წარმოდგენილი ცოდნის პრაქტიკული რეალიზაცია;
- პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა და საკვალიფიკაციო ნაშრომის შექმნა;
- უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

დასკვნის უნარი

- სასწავლო პროცესში პრობლემის განსაზღვრა, ანალიზი და გადაწყვეტის გზების დასახვა;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების სრულყოფისათვის საკუთარ სამუშაო სფეროში ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი და დასკვნის გაკეთება;
- კოლეგებთან ერთად სპეციალური კვლევითი საქმიანობების დაგეგმვა, განხორციელება და პრაქტიკაში გამოყენება;
- თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

კომუნიკაციის უნარი

- სხვათა აზრებისა და არგუმენტების მოსმენა და კონსტრუქციული დიალოგის წარმართვა, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაცია;
- პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან დისკუსია;

- პროფესიული საქმიანობისა და პრობლემების შესახებ წერილობითი დოკუმენტაციის წარმოება;
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;
- კულტურათაშორისი დიალოგი.

სწავლის უნარი

- მოცემულ დისციპლინაში ახალი მასალის მოძიებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი;
- საკუთარი პროფესიული საჭიროებების განსაზღვრის, განვითარების გზებისა და საშუალებების მოძიებისა და განხორციელების უნარი;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და რეცეფციის უნარი.

3. **ღირებულებები**

- მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრება და განვითარება;
- მოსწავლის პიროვნების, მისი ინდივიდუალური თავისებურებების პატივისცემა და აღიარება;
- მოსწავლის უფლებებისა და მოვალეობების პატივისცემა;
- მოსწავლეებისადმი ობიექტური და თანასწორი დამოკიდებულება;
- პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების დაცვა;
- პროფესიული მუშაობის წარმართვა განათლების სისტემის სახელმწიფო სამართლებრივი რეგულაციების დაცვით;
- სასწავლო პროფესიული გარემოს განვითარების მოტივაცია, საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, კოლეგებთან მოსწავლეებთან, მშობელთა საზოგადოებასთან და თემთან თანამშრომლობითი დამოკიდებულება.

4. სწავლება-სწავლის მეთოდები

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ სემინარი ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება ☒ გონებრივი იერიში; ☒ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ☒ როლური და სიტუაციური თამაში; ☒ ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ☒ შემთხვევის შესწავლა; ☒ დემონსტრირების მეთოდი; ☒ ანალიზის მეთოდი; ☒ ინდუქციური და დედუქციური მეთოდები

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

5. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

6. დასაქმების სფეროები
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის (I - VI კლასების) შესაბამისი საგნის (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება), I - IV კლასების საგნობრივი ჯგუფის (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) მასწავლებელი (პროფესიით მუშაობის დაწყება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად).

კურსდამთავრებულებს ასევე შეუძლიათ დასაქმდნენ განათლების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში.

7. სწავლის გაგრძელების საშუალება: კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სადოქტორო საფეხურის შესაბამის, მომიჯნავე და/ან სხვა დარგის პროგრამაზე.

8. სწავლის საფასური: სახელმწიფო დაფინანსება, / ერთ სტუდენტზე 2250 ლარის გათვლით/

9. დამატებითი ინფორმაცია:

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური და საგნობრივ – მეთოდიკური ციკლის დისციპლინების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა. პროგრამაში წარმოდგენილი ყველა საგნის შინაარსი შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ მასწავლებლის პროფესიულ და საგნობრივ სტანდარტებთან, უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან (მასწავლებელის განათლება). პროგრამა გაწერილია 10 სემესტრად, წარმოდგენილია მოდულების სახით:

- საფაკულტეტო/მიმართულების სავალდებულო დისციპლინების მოდული - 25 კრედიტი,
- პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინების სავალდებულო მოდული - 60 კრედიტი,

- ქართული ენისა და ლიტერატურის დისციპლინების სავალდებულო/არჩევითი მოდული - 60/10 კრედიტი,
- მათემატიკის დისციპლინების სავალდებულო/არჩევითი მოდული - 35/10 კრედიტი,
- ბუნებისმეტყველების დისციპლინების სავალდებულო/არჩევითი მოდული - 10/10 კრედიტი,
- საზოგადოებრივი მეცნიერებების დისციპლინების სავალდებულო მოდული - 20 კრედიტი,
- პედაგოგიური პრაქტიკის სავალდებულო მოდული - 30 კრედიტი - 5(VI), 10(VII), 10(VIII), 5(X),
- სამაგისტრო ნაშრომის სავალდებულო მოდული - 30 კრედიტი - 5(IX), 25(X);
- არჩევითი დისციპლინების მოდული - 20 კრედიტი - 10(VIII), 10(IX)

სტუდენტმა სავალდებულო წესით ინტეგრირებულად უნდა გაიაროს I – IV კლასების ქართული ენის, მათემატიკისა და ბუნებისმცოდნეობის საგნები, და V – VI კლასების ერთი (სავალდებულოდ, საკუთარი არჩევანის მიხედვით), ორი ან სამი (სურვილისამებრ) საგნის 10-10 კრედიტის ოდენობის გაძლიერებული კურსები, რომლებიც სამივე საგანში VIII – IX სემესტრებშია წარმოდგენილი. შესაბამისად, კურსდამთავრებულს ექნება სამი საგნის სწავლების კომპეტენციები I – IV კლასებისთვის და სავალდებულოდ მინიმუმ ერთი საგნის (ქართული,მათემატიკა, ბუნებისმცოდნეობა) სწავლების კომპეტენციები V – VI კლასებისათვის.

პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომის შესრულება გაწერილია მე-9 და მე-10 სემესტრებში, შესაბამისად, 5 - 25 კრედიტის ოდენობით. მე-9 სემესტრში მაგისტრანტი პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო დახმარებით იმუშავებს მეორადი ინფორმაციის მოპოვებასა და კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავებაზე, ხოლო მე-10 სემესტრში ემპირიულ კვლევაზე და ნაშრომის გაფორმებაზე. დამატებით სტუდენტს სურვილის შემთხვევაში შეუძლია არჩევით საგნად აირჩიოს პედაგოგიური კვლევის პრაქტიკული კურსი, რითაც გაიღრმავებს კვლევით უნარებს.

პროგრამის სწავლის შედეგები დადასტურდება:

- შემაჯამებელი კრებსითი გამოცდით პედაგოგიკურ დისციპლინებში;
- შემაჯამებელი კრებსითი გამოცდით საგანსა და საგნის სწავლების მეთოდიკაში;
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვით.

პროგრამაში პედაგოგიურ პრაქტიკას ეთმობა 30 სავალდებულო კრედიტი, რომელთაგან 5-5 კრედიტი ეთმობა მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მოდულების შესაბამის პედაგოგიურ პრაქტიკას, ხოლო 10 კრედიტი მშობლიური ენისა და ლიტერატურის მოდულის შესაბამის პედაგოგიურ პრაქტიკას, 5 – 3 კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ემპირიული ნაწილის კვლევას(საჭიროების მიხედვით) დანარჩენ 5 კრედიტს სტუდენტი გამოიყენებს საკუთარი არჩევანის მიხედვით პროგრამის რომელიმე მოდულის, ან აღმზრდელობითი მუშაობის კომპონენტის ფარგლებში. ასევე, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს პროგრამის 20 არჩევითი კრედიტიდან აირჩიოს პედაგოგიური პრაქტიკის კურსი 3, 5 10 და 20 კრედიტის ოდენობით.

10. პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა - პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტზე, რომელიც განთავსებულია თსუ-ს მე-3 კორპუსში, ჭავჭავაძის გამზ.# 11. აღსანიშნავია, რომ კორპუსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით კაპიტალურად გარემონტდა 2016 წელს. განახლების შედეგად ფაკულტეტის სარგებლობაში მყოფი შენობა და მიმდებარე ტერიტორია სრულად აკმაყოფილებს სწავლებისა და კვლევის წარმართვისთვის საჭირო მოთხოვნებს, ფლობს აღნიშნული პროგრამის წარმატებით რეალიზებისათვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, როგორიცაა, სასწავლო და კვლევითი ფართი, ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა.
პროგრამის მიზნებს ემსახურება თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს-ცენტრები, აუდიტორიები და სხვა. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა უწყვეტ რეჟიმში, მათ შორის, საერთაშრისო სამეცნიერო ელექტრონულ რესურსებთან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Erich, Scopus, Thomson.

11. პროგრამის ადამიანური რესურსი: პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 43 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 16 (სამი პროფესორი, 8 - ასოცირებული პროფესორი, 5 - ასისტენტ პროფესორი), ხოლო 27 – მოწვეული აქედან 10 ზოგადსაგანმანამთლებლო სკოლის მასწავლებელი. პერსონალის CV-ებისათვის **იხ. დანართი *პროგრამაში ჩართული პერსონალი.***

12. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა - პროგრამა დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ. ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტისა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც წარმოადგენს თსუ-ს ბიუჯეტის ნაწილს. გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე და ა.შ.

13. პროგრამის ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

14. პროგრამის სტრუქტურა: იხ. დანართი 1

დანართი 1

სასწავლო გეგმა[1]

ფაკულტეტი: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა /300კრედიტი/

სწავლების საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

კრედიტების რაოდენობა: 300

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: ქეთევან ჭკუასელი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №91/2018

(ცვლილებები: დადგენილება N: 71/2020; 21/07/2020; დადგენილება N: 24/2021; 22/02/2021; დადგენილება N: 85/2021 თარიღი: 21/09/2021; დადგენილება N: 15/2022; 14/02/2022), დადგენილება N:62/2022 თარიღი: 26/07/2022), თარიღი: 14/09/2022 დადგენილება N: 77/2022.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა /300კრედიტი/

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2018/2019

	ECTS ჯამი	სასწავლო მოდულის დასახელება	ECTS	სწავლების სემესტრი										მოდულის ტიპი
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	
	25	საფაკულტეტო/მიმართულების დისციპლინები	**25**	15	5			5						სავალდებულო
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის საგნობრივი და მეთოდური მოდული - 215(ECTS)	**185**	პედაგოგიური სავალდებულო დისციპლინები	**58**		10	10	10		10	5	5	10		სავალდებულო
		მათემატიკის დისციპლინები - სავალდებულო /I-IV კლასები/	**35**	5	5	10	5	5	5					სავალდებულო
		ბუნებისმეტყველების დისციპლინები - სავალდებულო /I-IV კლასები/	**10**			5	5							სავალდებულო
		საზოგადოებრივი მეცნიერებების დისციპლინები /I-IV კლასები/	**20**				5	10	5					სავალდებულო
	10	V-VI კლასები - ერთ-ერთი (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) საგნობრივი დისციპლინის ბლოკი	**10**								5	5		სავალდებულო
	20	***არჩევითი საგნების ბლოკიდან - ერთ-ერთი დისციპლინის მოდული/ები ან/და არჩევითი საგანები***	**20**								10	10		სავალდებულო
	არჩევით საგანთა კომბინაცია - ჯამში უნდა აირჩეს 20	არჩევითი საგნები (ECTS)	*10/20*								*+*	*+*		*არჩევითი*
		ქართული ენისა და ლიტერატურის დისციპლინები 10 არჩევითი (ECTS) /V-VIკლასებI/	*10*								*5*	*5*		*არჩევითი*
		მათემატიკის დისციპლინები - 10 კრედიტი (ECTS) არჩევითი /V-VI კლასები/	*10*								*5*	*5*		*არჩევითი*
		ბუნებისმცოდნეობის დისციპლინები - 10კრედიტი (ECTS) არჩევითი /V-VI კლასები/	*10*								*5*	*5*		*არჩევითი*
	30	პედაგოგიური პრაქტიკა - 32 კრედიტი (ECTS)	**30**						5	10	10		5	სავალდებულო
	30	სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (ECTS)	**30**									5	25	სავალდებულო
ჯამი	**300**		**300**	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	

პროგრამის სტრუქტურა (II ვარიანტი)

			სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი																	
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი										ლექტორი / ლექტორები
				ლექცია	სემინარი	პრაქტიკუმი / - რიუული				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	
საფაკულტეტო/მიმართულების დისციპლინები - 25(ECTS)																				
		შესავალი ფილოსოფიაში	5	2	1				წინაპირობის გარეშე	+										თამარ გეგეშიძე, აკაკი ყულიჯანაშვილი
		შესავალი პედაგოგიკაში	5	2	1				წინაპირობის გარეშე	+										ქეთევან ჭკუასელი, ნათია ბებიაშვილი, მარინე გოგნელაშვილი
		აკადემიური წერა	5	1		2			წინაპირობის გარეშე					+						ზაქარია ქიტიაშვილიანა ანა არველაძე, ქეთევან მირზიკაშვილი
		უცხო ენა	10 5/5	2	1					+	+									
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის საგნობრივი და მეთოდური მოდული - 215(ECTS)																				
პედაგოგიური სავალდებულო დისციპლინები - 60კრედიტი (ECTS)																				
		პედაგოგიკა 1	5	2	2				წინაპირობის		+									ქეთევან ჭკუასელი,

									გარეშე											მარინე გოგნელაშვილი, ნათია ბებიაშვილი
		პედაგოგიკა 2	3	2	1				პედაგოგიკა1			+								ქეთევან ჭკუასელი, მარინე გოგნელაშვილი, ნათია ბებიაშვილი
		პედაგოგიური პრაქტიკა	2	2	2				პედაგოგიკა1			+								მეგი ესებუა, მარინე გოგნელაშვილი, ეფემია ხარაძე
		განათლების ისტორია და თანამედროვეობა	5	2	2				წინაპირობის გარეშე				+							ქეთევან ჭკუასელი, ნათია ბებიაშვილი, მარინე გოგნელაშვილი, ცირა ნიკოლაშვილი
		საქართველოს განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები	5	2		2			წინაპირობის გარეშე		+									ქეთევან ჭკუასელი, ზაქარია ქიტიაშვილი, მარინე გოგნელაშვილი, მეგი ესებუა, ცირა ნიკოლაშვილი.
		პედაგოგიური კვლევის საფუძვლები	5	2	2				პედაგოგიკა 2									+		რუსუდან სანაძე, გიორგი ჭუმბურიძე,
		ზოგადი ფსიქოლოგია	5	2	1				წინაპირობის გარეშე			+								სოფიო დოლიძე, მარიამ ფანჯიკიძე, გიორგი ჭუმბურიძე, ელენე ოყროშიძე
		სწავლის, სწავლებისა და ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიური საფუძვლები	2	1	1				ზოგადი ფსიქოლოგია				+							თეონა ლოდია, ელენე ოყროშიძე

		ინკლუზიური განათლება	3	2	1				ზოგადი ფსიქოლოგია				+							თეონა ლოდია, მაია შაშვიაშვილი
		სასკოლო გარემო და მოზარდის ჯანმრთელობა	5	1	2				პედაგოგიკა2						+					ეფემია ხარაძე, ნანა ბარნაველი
		პედაგოგის პროფესიული ხელოვნება	3	2	1				პედაგოგიკა2							+				ნათია ბებიაშვილი, თამაზ კარანაძე, ნინო ჩახუნაშვილი, ცირა ნიკოლაშვილი
		სამოქალაქო განათლება	2	1	1				წინაპირობის გარეშე							+				გიორგი პაპუაშვილი, გიორგი სახელაშვილი, ცირა ნიკოლაშვილი
		ინტერკულტურული განათლება	2	1	1				წინაპირობის გარეშე									+		ნათია ნაცვლიშვილი, ნინო ჩახუნაშვილი, ცირა ნიკოლაშვილი
		რელიგიის ისტორია	3	2	1				წინაპირობის გარეშე									+		გიორგი პაპუაშვილი, გიორგი სახელაშვილი
		სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და პრაქტიკა	2	1		1			პედაგოგიკა2						+					ზაქარია ქიტიაშვილი, მარინე გოგნელაშვილი, ცირა ნიკოლაშვილი
		საგანმანათლებლო ტექნოლოგიები	3	2		1			პედაგოგიკა 2						+					ქეთევან ჭკუასელი, მარინე გოგნელაშვილი, თამარ გეგეშიძე, მაია მემარნიშვილი, ნინო ჩახუნაშვილი
		განათლება და ბავშვთა უფლებები	3	2	1				წინაპირობის გარეშე								+			ზაქარია ქიტიაშვილი, ნინო ჩიქოვანი, ცირა ნიკოლაშვილი, მარინე გოგნელაშვილი
		საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	1	1				წინაპირობის გარეშე								+			რუსუდან სანაძე, ანა ტუღუში
ქართული ენისა და ლიტერატურის დისციპლინები - 60 კრედიტი (ECTS) სავალდებულო /I-IV კლასები/ + 10 არჩევითი (ECTS) /V-VIკლასები/																				

		ქართული ენის გრამატიკა 1	5	2		2			წინაპირობის გარეშე	+										ქეთევან მირზიკაშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი
		ქართული ენის გრამატიკა 2	5	2		2			ქართული ენის გრამატიკა 1		+									ქეთევან მირზიკაშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი
		ძველი ქართული ლიტერატურა	5	1		2			წინაპირობის გარეშე		+									ია გრიგალაშვილი
		ახალი ქართული ლიტერატურა	5	2	2				ძველი ქართული ლიტერატურა			+								ვლადიმერ მინაშვილი, ეკა ვარდოშვილი
		უახლესი ქართული ლიტერატურა	5	2	1				ახალი ქართული ლიტერატურა				+							კახა ლორია, სოფიკო ძნელაძე
		საყმაწვილო ლიტერატურა	5	1		2			წინაპირობის გარეშე						+					ზაქარია ქიტიაშვილი, თეონა ბექიშვილი
		ფოლკლორისა და მითოლოგიის საფუძვლები	5	1		2			წინაპირობის გარეშე								+			ზაქარია ქიტიაშვილი, თეონა ბექიშვილი
		მეტყველების კულტურის საკითხები	5	2		2			წინაპირობის გარეშე					+						ზაქარია ქიტიაშვილი, ეკა ქუთათელაძე

		ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა/პრაქტიკით	10	2		4			ქართული ენის გრამატიკა 2, უახლესი ქართული ლიტერატურა							+				ზაქარია ქიტიაშვილი, თეონა ბექიშვილი, ქეთევან აფთარაშვილი
		კითხვის თანამედროვე სტრატეგიები	5	2		2			პედაგოგიკა 2					+						ნათია ნაცვლიშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი
		ფონეტიკისა და მართლმეტყველების საფუძვლები	5	1		2			წინაპირობის გარეშე	+										ანა არველაძე, ზაქარია ქიტიაშვილი
		ქართული ენის პრაქტიკული კურსი	5	1	2				ქართული ენის გრამატიკა 2							+				ქეთევან მირზიკაშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი
		ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები	5	1		2			წინაპირობის გარეშე									+		ზაქარია ქიტიაშვილი, თეონა ბექიშვილი
მათემატიკის დისციპლინები - 35 კრედიტი (ECTS) სავალდებულო /I-IV კლასები/ +10 კრედიტი (ECTS) არჩევითი /V-VI კლასები/																				
		რიცხვები და მოქმედებები 1	**5**	**1**	**2**				წინაპირობის გარეშე	+										შალვა ზვიადაძე, დავით წამალაშვილი, ეკატერინე ჩიხლაძე-გობეჯიშვილი
		რიცხვები და მოქმედებები 2	**5**	**1**	**2**				რიცხვები და მოქმედებები 1		+									შალვა ზვიადაძე, დავით წამალაშვილი, ეკატერინე ჩიხლაძე-გობეჯიშვილი
		ალგებრა და	**5**	**1**	**2**				რიცხვები და მოქმედებები			+								შალვა ზვიადაძე, დავით წამალაშვილი,

		კანონზომიერებები							2											ეკატერინე ჩიხლაძე-გობეჯიშვილი
		გეომეტრია და სივრცის აღქმა 1	**5**	**1**	**2**				რიცხვები და მოქმედებები 2			+								რუსუდან სანაძე, დავით წამალაშვილი, ეკატერინე ჩიხლაძე-გობეჯიშვილი
		გეომეტრია და სივრცის აღქმა 2	**5**	**1**	**2**				გეომეტრია და სივრცის აღქმა 1				+							რუსუდან სანაძე, დავით წამალაშვილი, ეკატერინე ჩიხლაძე-გობეჯიშვილი
		ლოგიკა და კრიტიკული აზროვნება	**5**	**1**	**2**				წინაპირობის გარეშე					+						რუსუდან სანაძე, დავით წამალაშვილი, ეკატერინე ჩიხლაძე
		მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები	**5**	**2**	**1**				მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა									**+**		შალვა ზვიადაძე, დავით წამალაშვილი, ეკატერინე ჩიხლაძე
		მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა/პრაქტიკით	**5**	**2**	**1**				გეომეტრია და სივრცის აღქმა 1						+					დავით წამალაშვილი, ეკატერინე ჩიხლაძე-გობეჯიშვილი
		ელემენტარული მათემატიკა	**5**	**1**	**2**				ალგებრა და კანონზომიერებები								**+**			შალვა ზვიადაძე, დავით წამალაშვილი, ეკატერინე ჩიხლაძე-გობეჯიშვილი

ბუნებისმეტყველების დისციპლინები - 10 კრედიტი (ECTS) სავალდებულო /I-IV კლასები +10კრედიტი (ECTS) არჩევითი /V-VI კლასები/																				
		ბუნებისმცოდნეობა 1	2	1	1				წინაპირობის გარეშე			+								ეფემია ხარაძე, ნანა ბარნაველი
		ბუნებისმცოდნეობა2	3	1	2				წინაპირობის გარეშე			+								ეფემია ხარაძე, ნანა ბარნაველი
		ბუნებისმცოდნეობის სწავლების მეთოდიკა/პრაქტიკით	5	2	2				ბუნებისმცოდნეობა2				+							ეფემია ხარაძე, ნანა ბარნაველი
		ბუნებისმცოდნეობა 3	5	1	2				ბუნებისმცოდნეობა2								+			ეფემია ხარაძე, ნანა ბარნაველი
		ბუნებისმცოდნეობა 4	5	1	2				ბუნებისმცოდნეობა 3									+		ეფემია ხარაძე, ნანა ბარნაველი
საზოგადოებრივი მეცნიერებების დისციპლინები - 20 კრედიტი (ECTS) სავალდებულო /I-IV კლასები/																				
		გეოგრაფიის ზოგადი კურსი	**2**	**1**	**1**				წინაპირობის გარეშე				+							ლიანა კვერენჩხილაძე
		საქართველოს გეოგრაფია	**3**	**2**		**1**			წინაპირობის გარეშე				+							ლიანა კვერენჩხილაძე
		გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა/პრაქტიკით	**5**	**2**	**2**				საქართველოს გეოგრაფია, პედაგოგიკა 2					+						ლიანა კვერენჩხილაძე

		ისტორიის ზოგადი კურსი	2	1	1				წინაპირობის გარეშე					+						გიორგი პაპუაშვილი, ელისაბედ ბუსხრიკიძე, მიხეილ ბახტაძე
		საქართველოს ისტორია	3	2	1				წინაპირობის გარეშე					+						გიორგი პაპუაშვილი, ელისაბედ ბუსხრიკიძე
		ისტორიის სწავლების მეთოდიკა/პრაქტიკით	5	2		2			საქართველოს ისტორია, პედაგოგიკა 2						+					გიორგი პაპუაშვილი, ელისაბედ ბუსხრიკიძე
არჩევითი საგნები (ECTS)/; VIII სემესტრი -10კრედიტი; IX სემესტრი - 10კრედიტი																				
		სახალისო მათემატიკა	5	1	2				გეომეტრია და სივრცის აღქმა 1									+		დავით წამალაშვილი
		უცხო ენა	5/10														+	+		
		ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები	5						წინაპირობის გარეშე									+		ზაქარია ქიტიაშვილი, თეონა ბექიშვილი
		ფოლკლორისა და მითოლოგიის საფუძვლები	5						წინაპირობის გარეშე								+			ზაქარია ქიტიაშვილი, თეონა ბექიშვილი
		მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები	5	2	1				მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა									+		შალვა ზვიადაძე, დავით წამალაშვილი, ეკატერინე ჩიხლაძე-გობეჯიშვილი

		ელემენტარული მათემატიკა	**5**	**1**	**2**				ალგებრა და კანონზომიერებები								+			დავით წამალაშვილი
		ბუნებისმცოდნეობა 3	**5**	**1**	**2**				წინაპირობის გარეშე								+			ეფემია ხარაძე, ნანა ბარნაველი
		ბუნებისმცოდნეობა 4	**5**	**1**	**2**				ბუნებისმცოდნეობა 3, პედაგოგიკა 2									+		ეფემია ხარაძე, ნანა ბარნაველი
		პედაგოგის პროფესიული ეთიკა	**2**	**1**		**1**			პედაგოგიკა 2								+	+		ანასტასია ზაქარიაძე,
		პედაგოგიური პრაქტიკა	**3/5/10**						პედაგოგიკა 2								+	+		ქეთევან ჭკუასელი ეფემია ხარაძე მეგი ესებუა ზაქარია ქიტიაშვილი მარინე გოგნელაშვილი ლიანა კვერენჩხილაძე, ელისაბედ ბუსხრიკიძე, დავით წამალაშვილი, ეკა ჩიხლაძე-გობეჯიშვილი
		პედაგოგიური კვლევა-პრაქტიკული კურსი	**5**						პედაგოგიური კვლევის საფუძვლები								+	+		რუსუდან სანაძე, მარინე გოგნელაშვილი, გიორგი ჭუმბურიძე
		სახვითი ხელოვნება - პრაქტიკა და	**5**	**1**	**2**				წინაპირობის გარეშე								+	+		ლევან სილაგაძე

		თეორია, I ეტაპი																		
		სახვითი ხელოვნება - პრაქტიკა და თეორია, II ეტაპი	**5**	**1**	**2**				სახვითი ხელოვნება - პრაქტიკა და თეორია, I ეტაპი									+		ლევან სილაგაძე
		მუსიკა და სამყარო	**5**	**15**	**30**				წინაპირობის გარეშე								+	+		ლევან მიზანდარი
		დებატების ტექნიკის გამოყენება სწავლებაში	**3**	**1**	**1**				წინაპირობის გარეშე											თინათინ ცერცვაძე
		აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებთან მუშაობა სკოლაში	**5**	**14**	**7**	**9**			წინაპირობის გარეშე								+	+		თამარ გაგოშიძე
		დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია	**5**	**15**	**30**				წინაპირობის გარეშე								+	+		მარიამ მეტრეველი
		მედიაწიგნიერება	**5**	**1**	**1**				წინაპირობის გარეშე								+	+		გიორგი ჯოლოგუა
		ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების	**5**	**1**	**2**				წინაპირობის გარეშე								+	+		მარიკა არევაძე, შორენა ძამუკაშვილი, მაკა კოჭაური, თამთა დემეტრაძე

		მეთოდოლოგია																		
		ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდოლოგია	**5**	**1**	**1**				ინკლუზიური განათლება								+	+		ია აფთარაშვილი
		მოსწავლის ქცევის მართვის საკითხები	**5**	**2**	**1**				პედაგოგიკა, განათლების და სწავლების თეორიები, ზოგადი ფსიქოლოგია								+	+		მაია შაშვიაშვილი
		ციფრული სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების საფუძვლები ახალ სასწავლო გარემოში[2]	**5**	**1**		**2**			პედაგოგიკა 2								+	+		იზაბელა პეტრიაშვილი შოთა ბარბაქაძე ქრისტინე ჩიხლაძე
		ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლება	**5**	**13**	**10**	**7**			წინაპირობის გარეშე								+	+		თამარ აბაშიძე ირინე ჟვანია მარინე გურგენიძე ნინო მიქელაძე
		სმენის და მხედველობის სირთულეების მქონე მოსწავლეების	**5**	**15**	**30**				წინაპირობის გარეშე								+	+		მაია წულაძე მარიამ მიქიაშვილი ანა მიქიაშვილი

[2] სასწავლო კურსი შემუშავებულია Erasmus + პროექტის DITECH - ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლება და სწავლა საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში (Developing and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian HEIs) (2021-2024წწ.) ფარგლებში.

		განათლება																		
		სასწავლო რესურსების შექმნა დაწყებითი კლასებისათვის	**5**	**15**	**30**				წინაპირობის გარეშე								+	+		მარიამ ტატიშვილი
		კულტურის საკითხები დაწყებით კლასელთათვის	**5**	**15**	**30**				წინაპირობის გარეშე								+	+		ირინე საგანელიძე
პედაგოგიური პრაქტიკა - 30 კრედიტი																				
		1. 5(ECTS)							პედაგოგიკა 2						+					
		2. 10(ECTS)							----------							+				
		3. 10(ECTS)							----------								+			
		4. 5(ECTS)							----------										+	
სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (ECTS)																				
		1. 5(ECTS)							სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების საფაკულტეტ ო რეგულაცია									+		
		2. 25(ECTS)							----------										+	

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა ——————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი_____ ფაკულტეტის ბეჭედი